

# საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

## კარი I

### ზოგადი დებულებები

#### თავი I

### კანონის მიზანი, მოქმედების სფერო და კანონში გამოყენებული ტერმინები

#### მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

#### მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

2. საქართველო ზრუნავს საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.

3. კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის რეგულირების წესი განისაზღვრება ცალკე საკანონმდებლო აქტით.

#### მუხლი 3. კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავთენტურობა – ობიექტის, მისი სტრუქტურული ელემენტის, გარემოს, კონტექსტის, ფუნქციის ან/და თვისებების პირველქმნილობა, მათი შექმნისა ან ჩამოყალიბების თანადროულობა.

ბ) არქეოლოგიური ობიექტი – ნებისმიერი, 100 და მეტი წლის წინ ნაწილობრივ ან სრულად განამარხებული ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, ასევე კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად ან ატყვია ადამიანის ზემოქმედების კვალი.

გ) არქეოლოგიური სამუშაოები – სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც მიმართულია არქეოლოგიური ობიექტების გამოსაყვანად და შესასწავლად; არქეოლოგიური ობიექტის მოკვლევის, გათხრის, რესტავრაცია-კონსერვაციისა და მეცნიერული შესწავლის სრული ციკლი;

დ) არქეოლოგიური დაზვერვა – არქეოლოგიური ობიექტის არსებობის, მისი სტრატეგრაფიისა და ქრონოლოგიის ვიზუალურად ან სასინჯო თხრილებით განსაზღვრა;

ე) არქეოლოგიური გათხრები – არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენისა და მისი მეცნიერული შესწავლის მიზნით ჩატარებული მიწის ან წყალქვეშა სამუშაოები;

ვ) დაფარვითი ინვენტარიზაცია – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების გამოვლენის, ამ ობიექტებსა და მათ გარემოზე ინფორმაციის მოძიების მიზნით წარმოებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;

ზ) ისტორიული განაშენიანება – 100 ან მეტი წლის წინ ჩამოყალიბებული, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე განაშენიანება;

თ) ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო – 100 ან მეტი წლის წინ ჩამოყალიბებული მხატვრულ-არქიტექტურული, სივრცითი, ლანდშაფტური ან სოციალ-ეკონომიკური კონტექსტის ერთობლიობა.

ი) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (შემდგომში ძეგლი):

ი.ა) კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ან მოძრავი ობიექტი რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;

ი.ბ) კომპლექსური – ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან ტერიტორიულად ურთიერთდაკავშირებული, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც შეადგენს ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებად ერთეულს და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

კ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა (შემდგომში დამცავი ზონა) – კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტების ირგვლივ ან/და მათი გავრცელების ან გავლენის არეალში ამ კანონით განსაზღვრული წესით დადგენილი ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ექსპლუატაციის განსაკუთრებული რეჟიმი და რომლის დანიშნულებაცაა დაიცვას მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობა არასასურველი ზეგავლენისაგან;

ლ) კულტურული მემკვიდრეობა – ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური, ტექნიკის განვითარებასთან დაკავშირებული უძრავი ან მოძრავი ობიექტები, დოკუმენტური მასალები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო,

დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, მის განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან;

მ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა – სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა;

ნ) კულტურული ფასეულობა – შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც გააჩნია მხატვრული, ესთეტიური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება.

ო) კულტურული ფენა – მიწის შრეები ან წყლით დაფარული ტერიტორია (ფსკერი) რომელიც შეიცავს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის კვალს;

პ) ურბანული ქსოვილი – ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურების, მათ შორის ქუჩათა ქსელის, მოედნების, ბაღების, შენობა-ნაგებობების, ეზოების ან საინჟინრო კომუნიკაციების ერთობლიობა;

ჟ) უძრავი ძეგლის გადაადგილებადი ფრაგმენტი – წარსულში ან ამჟამად უძრავი ძეგლის არსებითი შემადგენელი ნაწილი, რომელიც გამოცალკევებულია უძრავი ძეგლისაგან და კანონით აღიარებულია ცალკე უფლების ობიექტად, ან რომლის გამოცალკევებაც, უძრავი ძეგლის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ძეგლის დაუზიანებლად;

რ) უძრავი ძეგლის ტეროტორია – უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული ტერიტორია;

ს) უძრავი ძეგლის გადაადგილება – უძრავი ძეგლის მდებარეობის ცვლილება მისი ძირითადი მახასიათებლების ცვლილების გარეშე, ძეგლის დაშლისა და თავდაპირველი სახით აღდგენით ან მისი სხვაგვარად გადატანით.

ტ) ფონური განაშენიანება – განაშენიანების ორგანული ნაწილი, რომელიც აყალიბებს ძეგლების მხატვრულ-არქიტექტურულ კონტექსტს, ხელს უწყობს ძეგლების დომინანტური როლის შენარჩუნებას და წარმოქმნას;

უ) რეკულტივაცია – არქეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესწავლილი ობიექტის (ტერიტორიის) კონსერვაციის ან/და გარემოს თავდაპირველი სახით აღდგენის მიზნით, მიწის ფენით ხელახლა დაფარვა.

ფ) ძეგლის გაწმენდა – დროთა განმავლობაში, ბუნებრივი ან ხელოვნური ზემოქმედების შედეგად ძეგლზე წარმოქმნილი ან დაგროვილი ორგანული ან არაორგანული საფარის, ფენების ან დანამატების მოშორება ძეგლში ცვლილებების შეტანის (უძრავი ძეგლის შემთხვევაში, ასევე მიწის არსებული ზედაპირის მოხსნის) გარეშე;

ქ) ძეგლის ადაპტაცია – ძეგლში, მისი რეაბილიტაციის, ასევე ფუნქციის დასაშვები ცვლილების ინტერესით განპირობებული იმგვარი ცვლილებების შეტანა, რაც არ იწვევს ძეგლის მხატვრულ-ესთეტიური, ისტორიული და სხვა მნიშვნელობის შემცირებას და გამართლებულია მეთოდოლოგიურად;

ღ) ძეგლის კონსერვაცია – ძეგლის არსებული მდგომარეობის შენარჩუნების, მისი განადგურების ან შეუქცევადი ცვლილებებისაგან დაცვის მიზნით წარმოებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. ძეგლზე ასევე შეიძლება ჩატარდეს პრევენციული კონსერვაცია, რომლის მიზანია მხოლოდ პირველადი, გადაუდებელი, დროებითი ზომების მიღება ძეგლის რეაბილიტაციამდე. პრევენციული კონსერვაციისას გამოყენებული მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს გამოყენებული მასალებისა და საშუალებების ძეგლის დაუზიანებლად მოხსნის შესაძლებლობას;

ყ) ძეგლის მოვლა-პატრონობა – ძეგლის (უძრავი ძეგლის შემთხვევაში ასევე მისი გარემოს) დაზიანებისა და განადგურებისგან დაცვის, მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შენარჩუნების, მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარმოებულ ღონისძიებათა ერთობლიობა.

შ) ძეგლის რესტავრაცია – შემორჩენილი ავთენტური მასალისა და ელემენტების ფარგლებში, ძეგლის დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა თავდაპირველი სახით, მისი შექმნის თანადროული ან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;

ჩ) ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ახლიდან აშენება;

ც) ძეგლის აღდგენა თავდაპირველი სახით – რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის (მათ შორის გვიანდელი დანამატების მოხსნის) გზით, ძეგლისათვის მისი შექმნის მომენტისთვის არსებული სახის მიცემა;

ძ) ძეგლის სტატუსი – ობიექტის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც იწვევს მასზე კანონმდებლობით ძეგლის მიმართ დადგენილი რეჟიმის გავრცელებას;

წ) ძეგლის დაზიანება – ძეგლის ან მისი ნაწილის იმგვარი სახეცვლილება, რაც აუარესებს ძეგლის მდგომარეობას ან მის აქქმას;

ჭ) ძეგლის განადგურება – ძეგლის სრული მოსპობა, ასევე ძეგლზე ან მისი ნაწილზე იმგვარი ზემოქმედება, რაც ძეგლს უკარგავს იმ მახასიათებლებს, რისთვისაც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

ხ) ძეგლის დაზვერვა – ძეგლზე ინფორმაციის მიღების მიზნით, შესაბამისი მეთოდოლოგიით, მასში ფიზიკური ჩარევის გზით ან ვიზუალური შესწავლის საშუალებით წარმოებული საქმიანობა;

**კარი II**  
**კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა, დაცვა და მართვა**  
**თავი II**  
**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა**

**მუხლი 4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის განმახორციელებელი ორგანოები**

1. კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას ახორციელებენ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განხორციელებულ საქმიანობას კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს სამინისტრო.

**მუხლი 5. სამინისტროს უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში**

1. კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში სამინისტრო:

ა) ხედამხედველობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შეიმუშავებს და წარმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიმუშავებს და გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს;

გ) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, დაცვას, პოპულარიზაციას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას;

დ) უზრუნველყოფს გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტიზასა და სახელმწიფო აღრიცხვას, ადგენს შესაბამის წესებს;

ე) ხედამხედველობს ძეგლზე წარმოებულ და არქეოლოგიურ სამუშაოებს, ქმნის სამუშაოების მიმღებ კომისიებს;

ვ) აკონტროლებს კულტურული მემკვიდრეობის საზღვარგარეთ გატანას, თუ სხვა რამ კანონით არ არის გათვალისწინებული;

ზ) უზრუნველყოფს ისტორიული არეალების დაფარვით ინვენტარიზაციას, შეიმუშავებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათ ფარგლებში შეიმუშავებს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათ ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარუდგენს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს;

თ) ქმნის კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო სისტემასა და ბაზას;

ი) შეიმუშავებს და ახორციელებს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის, დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნობრივ და სახელმწიფო პროგრამებს, ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებს;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად აჩერებს ყველა სახის საქმიანობას, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კულტურულ მემკვიდრეობას;

ლ) თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართალდარღვევათა გამოვლენის, მათზე რეაგირებისა და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, ადგენს შესაბამის სამართალდარღვევათა ოქმებს;

მ) საომარი მოქმედებებისა და საგანგებო მდგომარეობისას, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე;

ნ) ასრულებს სამინისტროს დებულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი (შემდგომში – მინისტრი) უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით გადასცეს ამ კანონით განსაზღვრული, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილება მის ტერიტორიულ ორგანოს, ასევე სტრუქტურულ ერთეულს.

3. კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტროში იქმნება მინისტრის სათათბირო ორგანო – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭო (შემდგომში – საბჭო). საბჭოს საქმიანობის წესი და კომპეტენცია განისაზღვრება საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

**მუხლი 6. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში**

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში**

1. კანონმდებლობით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემაჯავლი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული არქივი:

- ა) ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს ეროვნულ საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობისა და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების გამოვლენას, აღწერას, პასუხისმგებელია მათ მოვლა-პატრონობაზე, უზრუნველყოფს მათზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას;
  - ბ) გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას აწვდის სამინისტროს;
  - გ) კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან;
2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის სისტემაში შემაჯავლი ორგანოების სხვა ფუნქციები განისაზღვრება „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

**მუხლი 8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, კანონმდებლობით განსაზღვრულ და სამინისტროს მიერ დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში:

- ა) ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ მათ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენას, აღწერასა და მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას, ზუნავს მათ მოვლა-პატრონობაზე, შესწავლასა და რეაბილიტაციაზე;
- ბ) აწვდიან ინფორმაციას სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენისა და მისი მდგომარეობის შესახებ;
- გ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ინფორმაციული და ტექნიკური ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებთან.
- დ) ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას.

**მუხლი 9. მუზეუმ-ნაკრძალი**

1. მუზეუმ-ნაკრძალი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. მუზეუმ-ნაკრძალს სახელმწიფო საკუთრებაში მთლიანად ან ნაწილობრივ არსებული კომპლექსური ძეგლი (ძეგლები), ასევე არქეოლოგიური ობიექტები და სხვა ქონება გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მუზეუმ-ნაკრძალის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

2. მუზეუმ-ნაკრძალის მიზანია მის სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ექსპონირება, პოპულარიზაცია და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა.

3. პრეზიდენტის ბრძანებულებით, მუზეუმ-ნაკრძალს შეიძლება განესაზღვროს სამოქმედო არეალი, რომლის ფარგლებშიც იგი აწარმოებს ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას და სხვა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია ხელი შეუწყოს მუზეუმ-ნაკრძალს, შესაბამის სამოქმედო არეალში, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შემოწმებაში.

4. მუზეუმ-ნაკრძალის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობითა და მუზეუმ-ნაკრძალის დებულებით.

5. მუზეუმ-ნაკრძალის სახეობებია:
- ა) არქიტექტურული;
  - ბ) არქეოლოგიური (არქეოლოგიური პარკი);
  - გ) ეთნოგრაფიული;
  - დ) ისტორიული.
6. მუზეუმ-ნაკრძალი ასევე შესაძლებელია იყოს კომპლექსური და ერთდროულად იყოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული რამდენიმე სახეობის.

**მუხლი 10. ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში**

1. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან:
- ა) დაიცვან და მოუფროთხილდნენ კულტურულ მემკვიდრეობას;

ბ) სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის, გამოვლენის ან კულტურული მემკვიდრეობისათვის საფრთხის შემცველი გარემოების არსებობის შესახებ.

2. ფიზიკური და იურიდიული პირების სხვა უფლება-მოვალეობები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

### თავი III

#### ახლადაღმოჩენილი ან გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი (დროებითი) დაცვა

#### მუხლი 11. ახლადაღმოჩენილი ან გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობის პირველადი (დროებითი) დაცვის რეჟიმი

1. თუ ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან ამის თაობაზე საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ აცნობოს სამინისტროს.

2. სამინისტრო ვალდებულია ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში გადაამოწმოს კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის (აღმოჩენის) ფაქტი და შედეგის შესახებ წრილობით აცნობოს დაინტერესებულ პირს. სამინისტროს მიერ აღნიშნული ვადის გაშვების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია განაგრძოს შეწყვეტილი საქმიანობა.

3. სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, მინისტრი ამ კანონით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს გამოვლენილი (აღმოჩენილი) კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო აღრიცხვას, რის შესახებაც სამინისტრო დაუყოვნებლივ აცნობებს დაინტერესებულ პირს, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

4. როდესაც კულტურული მემკვიდრეობა აღმოჩნდება აქრეოლოგიური სამუშაოების შედეგად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა აითვლება ნებართვით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულების შემდეგ.

6. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში აღიციხულ და დაცულ კულტურულ მემკვიდრეობაზე ვრცელდება ამ კანონის 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლებით ძველის მიმართ დადგენილი პრინციპები და წესები.

### თავი IV

#### არქეოლოგიური სამუშაოების სახეები და პირობები

#### მუხლი 12. არქეოლოგიური სამუშაოების სახეები

არქეოლოგიური ობიექტზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრული არქეოლოგიური ან ძველზე ჩასატარებელი სამუშაოები. არქეოლოგიური სამუშაოების სახეებია:

ა) საველე არქეოლოგიური სამუშაოები – არქეოლოგიური ობიექტის ძიება, დაზვერვითი თხრილების მოწყობა, გათხრა, ფიქსაცია, პირველადი საიდენტიფიკაციო ექსპერტიზა და კონსერვაცია;

ბ) ლაბორატორიული არქეოლოგიური სამუშაოები – არქეოლოგიური მონაპოვარის მეცნიერული აღწერა, რესტავრაცია, კონსერვაცია, ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, მულტიმედია-ტექნოლოგიური კვლევა, მისი ისტორიული ინტერპრეტაცია და გამოსაცემად მომზადება.

#### მუხლი 13. არქეოლოგიური გათხრების ჩატარების პირობა

1. არქეოლოგიური მემკვიდრეობის ადგილზე შენარჩუნებისა და მისი მომავალი თაობების მიერ უკეთესი ტექნოლოგიებით მათი შესწავლის მიზნით, არქეოლოგიური ობიექტის გათხრა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სამეცნიერო საკითხების გადასაჭრელად ან თუ არქეოლოგიურ მემკვიდრეობას სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა სახის საქმიანობით ან ბუნებრივი პროცესების შედეგად განადგურების ან დაზიანების საფრთხე ემუქრება.

2. არქეოლოგიურ სამუშაოთა დასრულების შემდეგ, დაუშვებელია განათხარი არქეოლოგიური ობიექტისა და არქეოლოგიური მონაპოვარის მიტოვება კონსერვაციის ან რეკულტივაციის გარეშე. ხოლო სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები და არქეოლოგიური მასალა, სამუშაოთა მწარმოებლის (შესაბამისი ნებართვის მფლობელის) მიერ, დაცული უნდა იქნას სათანადოდ დაზიანების, განადგურების, დაკარგვის, ასევე გარემო პირობებისა და სხვა არასასურველი ზემოქმედებისაგან.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლინდება მაღალი მატერიალური ღირებულების მქონე ნივთი (ნივთები), ამასთან მეთოდოლოგიური, კლიმატური, ტექნიკური ან სხვა პირობების გამო ვერ ხერხდება მისი დაუყოვნებლივ ამოღება და უსაფრთხო ადგილას ტრანსპორტირება, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც პასუხისმგებელია ამ ნივთის (ნივთების) დაცვაზე, მის უსაფრთხო ადგილას ტრანსპორტირებაში.

4. მოძრავი არქეოლოგიური მონაპოვარი, როგორც წესი უნდა ინახებოდეს უახლოეს მუზეუმ-ნაკრძალში, მუზეუმში ან სხვა შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებაში.

#### **მუხლი 14. უძრავი არქეოლოგიური ობიექტის აღება (დაშლა)**

უძრავი არქეოლოგიური ობიექტის აღება დასაშვებია მხოლოდ სამინისტროსთან შეთანხმებით და იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი გათხრილი და შესწავლილია სრულად და არ არსებობს საკმარისი საფუძველი მისთვის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად.

#### **მუხლი 15. მსხვილმასშტაბიანი მიწის სამუშაოების წარმოების აუცილებელი პირობები**

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე, ასევე, კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის განხორციელებაზე, კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროს დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამინისტროს დასკვნის საფუძველზე წარმოედგენს შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მიწის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი. საკვლევ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, არქეოლოგიური კვლევის დასკვნითი ნაწილი უნდა მოიცავდეს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს გამოვლენილი ობიექტების კონსერვაციის საკითხის, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის გეგმარებითი გადაწყვეტის შესახებ. კვლევითი სამუშაოები უნდა განხორციელდეს ორი მიმართულებით:

ა) ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევა:

სამუზეუმო და საარქივო (ისტორიული რუკები და გენგეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები) მასალების მოძიება და ანალიზი, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული კვლევა შესაბამისი წყაროების მითითებით, არქივებში დაცული საპროექტო ტერიტორიის ფოტომასალის, კოსმოსური და აერო ფოტომასალების მოძიება, მათი დეშიფრირება, არსებული მდგომარეობის ფოტო ფიქსაციის მასალები და მათი საარქივო მონაცემებთან ურთიერთმიმართების ანალიზი;

ბ) საველე-საკვლევი და წინასწარული კამერალური სამუშაოები:

დახვერვითი შურფების განლაგების სქემა და გამოსახული ნახაზები (მ 1:25, 1:20) სტრატეგრაფიის ჩვენებით, საპროექტო ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური ფენებისა და ობიექტების სრული საველე შესწავლა თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით, გასათხრელი ფართობის აგეგმვა, არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტების განლაგების სქემა და ცალკეული ობიექტების ანაზომები, გამოვლენილი ნაგებობებისა და კულტურული ფენების სტრატეგრაფიული ჭრილები, საველე არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში, გამოვლენილი ფენებისა და ობიექტების რაობის განსაზღვრა და დათარიღება, მათი ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია, კვლევის შედეგად მიღებული მასალის ანალიტიკური დამუშავება და დასკვნების ჩამოყალიბება, ტექსტური ნაწილის შედგენა, სათანადო ილუსტრაციების მომზადება.

### **თავი V**

#### **კულტურული მემკვიდრეობის აღრიცხვა, კლასიფიკაცია და მათთვის სტატუსის მინიჭება**

#### **მუხლი 16. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება**

1. ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების საფუძველზე წარმოადგენს მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულება, დაკავშირებული მის სიძველესთან, უნიკალურობასთან ან ავთენტურობასთან.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტში მითითებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ძეგლის სტატუსი ასევე შეიძლება მიენიჭოს წარსულში ან ამჟამად, ფუნქციურად ან თვისობრივად ურთიერთდაკავშირებული, მოძრავი ან/და უძრავი ობიექტების ერთობლიობას (კომპლექსური ძეგლი). ამ შემთხვევაში, მის უძრავ და მოძრავ ნაწილებზე ვრცელდება ამ კანონით უძრავი ან მოძრავი ძეგლის მიმართ დადგენილი შესაბამისი წესები.

3. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს ძეგლის სტატუსი ენიჭება საბჭოს წარდგინებით, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

4. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა, ასევე, როდესაც მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას ან დამატებით შესწავლას საჭიროებს, მინისტრი უფლებამოსილია შეიტანოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში. ამ მომენტიდან მასზე ვრცელდება ამ კანონის მეექვსე და მეცხრე თავებით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

5. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ ერთხელ, ექვსი თვის ვადით. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება ერთხელ, არაუმეტეს 6 თვისა.

6. სამინისტრო, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილ ობიექტს, მისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, მისი სახეობის, მნიშვნელობის, მდგომარეობის, ისტორიული და კულტურული ღირებულებისა და კატეგორიის განსაზღვრისათვის ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, წარუდგენს საბჭოს.

7. თუ სათანადო კვლევების შედეგად დადგინდება, რომ არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ამ კანონით განსაზღვრული საფუძვლები, საბჭოს დასკვნის საფუძველზე, მინისტრი უფლებამოსილია ამორიცხოს ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიიდან ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვადის გასვლამდე.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებული ვადის გაშვების შემთხვევაში, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის აღრიცხვა ძეგლად 1 წლის განმავლობაში არ შეიძლება.

9. მინისტრის სამართლებრივი აქტი ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის ან ამორიცხვის, ასევე ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის შესახებ, ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნების მომენტიდან.

10. მონაცემები ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან მოხსნის შესახებ, შესაბამისი სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან ორი დღის ვადაში აისახება ძეგლების სახელმწიფო რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სამინისტრო და სამინისტროს ინტერნეტ გვერდზე.

## **მუხლი 17. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სახელმწიფო აღრიცხვა და სააღრიცხვო დოკუმენტაცია**

1. კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ობიექტების აღრიცხვისა და იდენტიფიკაციის მიზნით იქმნება ძეგლების სახელმწიფო რეესტრი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სია, სააღრიცხვო ბარათი და ძეგლის პასპორტი.

2. ძეგლების სახელმწიფო რეესტრსა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიას აწარმოებს სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი.

3. სააღრიცხვო ბარათი წარმოადგენს ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანის შესახებ მინისტრის სამართლებრივი აქტის დანართს, ძეგლის ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტის იდენტიფიკაციისათვის აუცილებელ ზოგადი ხასიათის დოკუმენტს.

4. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ, სამინისტრო უფლებამოსილია შეადგინოს ძეგლის პასპორტი. ძეგლის პასპორტი წარმოადგენს მინისტრის სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ დოკუმენტს, რომელიც მოიცავს ძეგლთან დაკავშირებულ სრულყოფილ სამეცნიერო-კვლევით ინფორმაციას.

5. ახალი ცნობების მოკვლევის ან გარემოებათა ცვლილებების შემთხვევაში, სააღრიცხვო დოკუმენტაცია ექვემდებარება განახლებას.

6. სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმები და მათი შევსების წესი განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

## **მუხლი 18. ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა**

ძეგლისათვის ძეგლის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა ან დაზიანდა ისე, რომ მან დაკარგა ისტორიული და კულტურული ღირებულება, რომელთა აღდგენა შეუძლებელია.

## **მუხლი 19. ძეგლის კატეგორია**

1. ძეგლს სამინისტროს მიმართვის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიძლება განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია, თუ მას გააჩნია გამორჩეული მხატვრული ან ესთეტიური ღირებულება ან დაკავშირებულია უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენასთან, პიროვნებასთან, ერის განვითარების ეტაპთან ან გამორჩეულ ზოგადეროვნულ ღირებულებებთან.

2. ეროვნული მნიშვნელობის უძრავ ძეგლს, „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 1972 წლის კონვენციით შექმნილ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში (შემდეგში – მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხა) შესატანად, მინისტრის მიმართვის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი.

## **მუხლი 20. ძეგლის კლასიფიკაცია**

1. უძრავი და მოძრავი ძეგლების კლასიფიკაცია სახეობებად ხდება მისი ტიპოლოგიის, ისტორიული, კულტურული, მათ შორის, მხატვრული, ესთეტიური, მემორიალური, სულიერი და მეცნიერული და სხვა მნიშვნელობების მიხედვით.

2. ძეგლის სახეობებია:

ა) არქეოლოგიური;

ბ) არქიტექტურის;

გ) საინჟინრო;

დ) ქალაქთმშენებლობის (ურბანული);

ე) საბაღე-საპარკო ხელოვნებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის;

- ვ) პალეოგრაფიული;
- ზ) მონუმენტური სახეობის ხელოვნების;
- თ) მემორიალური;
- ი) ეთნოგრაფიული;
- კ) სახეობის ხელოვნების;
- ლ) დოკუმენტური;

მ) მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული.

3. ძეგლის სახეობის განსაზღვრა ხდება დარგში შესაბამის შემუშავებული მეცნიერული კრიტერიუმებით.

**მუხლი 21. უძრავი ძეგლის აღნიშვნა**

უძრავი ძეგლი აღინიშნება საანოტაციო დაფით, რომლის ფორმა და გამოყენების წესი დგინდება მინისტრის ბრძანებით.

**მუხლი 22. უძრავ ძეგლთა გათვალისწინება მიწის კადასტრსა და ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში**

უძრავ ძეგლებისა და მათი ტერიტორიების გათვალისწინება ქალაქთმშენებლობით კადასტრსა და კანონმდებლობით განსაზღვრულ ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში სავალდებულოა.

**თავი VI  
ძეგლის დაცვა**

**მუხლი 23. ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპი**

ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რაც განაპირობებს მის ისტორიულ-კულტურულ (მემორიალური, ეთნოლოგიური, მხატვრული, ესთეტიური და სხვა) ან სამეცნიერო ღირებულებას.

**მუხლი 24. ძეგლის დასაშვები გამოყენება**

დასაშვებია ძეგლის მხოლოდ იმგვარი გამოყენება, რომელიც არ აზიანებს ან ამგვარ საფრთხეს არ უქმნის მას, არ ამცირებს მისი კულტურულ ან ისტორიულ ღირებულებას, არ იწვევს მისი ავთენტური ელემენტების ცვლილებებს, არ აუარესებს მის აღქმას.

**მუხლი 25. ძეგლზე თვითნებური სამუშაოების აკრძალვა**

აკრძალულია ძეგლზე რაიმე სახის სამუშაოების წარმოება ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე.

**მუხლი 26. ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების ტიპები და სახეები**

1. ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები იყოფა შემდეგ ტიპებად:

- ა) კვლევითი სამუშაოები – სამეცნიერო-საძიებო და პრაქტიკული სამუშაოები, რომლის მიზანია ძეგლთა დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება, მათ შორის, მისი მდგომარეობის, დაზიანებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა, სარეაბილიტაციო ღონისძიებათა რეკომენდაციების შემუშავება;
- ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოები – ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული, ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წარმოებულ სამუშაოთა ერთობლიობა.

2. უძრავ ძეგლზე, მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით, შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

- ა) დაზვერვა;
- ბ) გაწმენდა;
- გ) კონსერვაცია;
- დ) რესტავრაცია;
- ე) რეკონსტრუქცია;
- ვ) ადაპტაცია.

3. მოძრავ ძეგლზე, კვლევითი ან სარეაბილიტაციო მიზნით, შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები:

- ა) დაზვერვა;
- ბ) გაწმენდა;
- გ) კონსერვაცია;
- დ) რესტავრაცია.

4. არქეოლოგიურ ძეგლზე ან სხვა სახეობის ძეგლის განამარხებულ ფრაგმენტზე, სამეცნიერო-კვლევითი ან სარეაბილიტაციო მიზნით, ასევე შეიძლება ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები.

5. არქეოლოგიურ ობიექტზე, არქეოლოგიური სამუშაოების ფარგლებში, ასევე შეიძლება ჩატარდეს ამ კანონით ძეგლის მიმართ განსაზღვრული საკონსერვაციო, გაწმენდითი და სარესტავრაციო სამუშაოები.

6. ძველის დაკარგული ფორმების, მისი ფრაგმენტებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ძველის რესტავრაციის ან რეკონსტრუქციის ფარგლებში, აღსადგენი ფორმების, ფრაგმენტებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციის შემთხვევაში და ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე. დაუშვებელია დოკუმენტური მასალისა და სამეცნიერო კვლევის უზუღვებელყოფა, ჰიპოთეტური ვარიანტების გამოყენება.

7. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა სიაში შეტანილ ობიექტზე, მასზე ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარების, ასევე ობიექტის ჯერ კიდევ გამოუვლენელი ისტორიული ან კულტურული ღირებულების მქონე ელემენტების შესაძლო დაზიანების ან განადგურების თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია მხოლოდ დაზვერვითი, გაწმენდითი, არქეოლოგიური და პრევენციული კონსერვაციის სამუშაოების წარმოება.

8. ძველზე სამუშაოების წარმოების მეთოდოლოგია და წესი დგინდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

### **მუხლი 27. ძველის გადაკეთება, გადაადგილება, დაშლა**

1. უძრავი ძველის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძველის ხელახლა აღდგენის პირობით იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძველის ინტერესები ან ძველის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

2. უძრავი ძველის ან მისი ნაწილის გადაკეთება დასაშვებია მხოლოდ ძველის ადაპტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს არ გამოიწვევს ძველის იერსახის ცვლილებას, მის დაზიანებას ან ისტორიულ-კულტურული ღირებულების შემცირებას.

3. უძრავი ძველის ან მისი ნაწილის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

ა) დაუძლეველი ძალის შედეგად არსებობს საფრთხე ძველის განადგურების ან მისი გამოსწორებელი დაზიანებისა;

ბ) თუ არსებობს მისი გადაადგილების მომეტებული საჯარო ინტერესი, გარდა ეროვნული მნიშვნელობის ძველებისა.

4. უძრავი ძველის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ თავდაპირველ გარემოსთან შეძლებისდაგვარად მიმსგვსებულ გარემოში, ავთენტური მასალის გამოყენებით მისი რეკონსტრუქციის გზით, თავდაპირველი სახით აღდგენის პირობით.

5. უძრავი ძველი გადაადგილებისას და მის შემდეგ ინარჩუნებს ძველის სტატუსს.

6. დაუშვებელია მოძრავი ძველის გადაკეთება ან დანაწევრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია ძველის შენარჩუნების ან რეაბილიტაციისათვის.

### **მუხლი 28. კონსერვაციის გეგმა**

1. კომპლექსური ძველის დაცვის, მასზე სარეაბილიტაციო სამუშაოთა რეგულირების, ძველის გამოყენებისა და განითარების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტრო უფლებამოსილია შეიმუშაოს კომპლექსური ძველის კონსერვაციის გეგმა (შემდგომში – კონსერვაციის გეგმა), რომელიც წარმოადგენს ძველის რეაბილიტაციისა და განვითარების ერთიან სახელმძღვანელო დოკუმენტს.

2. კონსერვაციის გეგმა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც მოიცავს ძველზე ჩასატარებელ სამუშაოთა სამეცნიერო-მეთოდურ და პრაქტიკულ მითითებებს, განსაზღვრავს კომპლექსური ძველის შემადგენელ ყოველ ცალკეულ ობიექტზე დასაშვებ ან რეკომენდებულ სამუშაოთა ნუსხას და მათ ფარგლებს, მათი განხორციელების თანამდევრობის მითითებით, ადგენს ძველის კვლევის, რეაბილიტაციისა და განვითარების ძირითად რეგლამენტს, მისი მოვლა-პატრონობისა და გამოყენების ინდივიდუალურ წესებს.

3. კონსერვაციის გეგმის მოთხოვნათა გათვალისწინება სავალდებულოა ძველთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მიღებისას.

### **მუხლი 29. ძველის მესაკუთრის უფლება-მოვალეობანი**

1. ძველის მესაკუთრე ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული ძველის მოვლა-პატრონობა ამ კანონითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ძველის მდგომარეობის, მისი შენახვის პირობების ან გარემოს ცვლილებების შესახებ;

გ) ხელი შეუწყოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს და სპეციალისტებს ძველისა და მისი მდგომარეობის შესწავლაში, მათი მოთხოვნისამებრ, მიაწოდოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია ძველის შესახებ, თუ ის არ წარმოედგენს სახელმწიფო, კომერციულ ან კანონით დადგენილ სხვა საიდუმლოებას;

დ) არ დაუშვას ძველზე რაიმე სახის თვითნებური ზემოქმედება, მათ შორის ძველის ნაწილებისა თუ ფრაგმენტების გადაკეთება, დანაწევრება, დაშლა, დამატება;

ე) ძველის გასხვისების შემთხვევაში, წინასწარ აცნობოს სამინისტროს, ხოლო ძველის შემქმნელ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია ძველის სტატუსის შესახებ;

ვ) უზრუნველყოს ძველის დათვალიერება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

- ბ) შეასრულოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოვალეობები.
- 2. ძველის მესაკუთრე უფლებამოსილია:
  - ა) გამოიყენოს ძველი ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიიღოს შემოსავალი;
  - ბ) ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო თუ სხვა შეღავათებით;
  - გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოსაგან მოითხოვოს სამეცნიერო-მეთოდური და სამართლებრივი კონსულტაცია მის საკუთრებაში არსებული ძველის შესახებ.
- 3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დგინდება, მომეტებული საჯარო ინტერესების მქონე ძველების კლასიფიკაცია და მათზე მესაკუთრის მიერ, საზოგადოების დაშვების წესი.

**მუხლი 30. ძველის მფლობელის უფლება-მოვალეობანი**

- 1. ძველის მფლობელ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირზე ვრცელდება იგივე მოვალეობები, რაც ძველის მესაკუთრეზე.
- 2. ძველის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ძველის მესაკუთრეს, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანოს ინფორმაცია ძველსა და მის გარემოში მომხდარი ან სხვა ცვლილებების შესახებ, რამაც შეიძლება დაახიანოს ძველი ან გააუარესოს მისი აღქმა ან გამოყენება.

**მუხლი 31. ძველის ან კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტის შესწავლა და დათვალიერება მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე**

- 1. თუ არსებობს ძველის ან მისი მდგომარეობის შემოწმების დასაბუთებული აუცილებლობა ან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ რომელიმე ობიექტი კანეკუთვნება კულტურულ მემკვიდრეობას, ხოლო ძველის (ობიექტის) მესაკუთრე (მფლობელი) ხელს უშლის სათანადო საექსპერტო და კვლევითი სამუშაოების განხორციელებასი შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს, ასევე, როდესაც ძველის მესაკუთრე (მფლობელი) არღვევს ძველის დათვალიერების კანონმდებლობით დადგენილ წესებს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სახელმწიფო ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს სახელმწიფოებრივი იძულება.
- 2. შესასწავლ ობიექტზე დაშვება მესაკუთრის (მფლობელის) თანხმობის გარეშე შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენება ამ კანონის 56-ე მუხლის მე-3 მე-4 მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესი.
- 3. პასუხისმგებლობა ძველის დათვალიერების წესების დარღვევაზე განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

**თავი VII**  
**საკუთრების უფლება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე**

**მუხლი 32. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის გასხვისება ან სარგებლობაში გადაცემა**

- 1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძველის, კულტურული ფასეულობისა და არქეოლოგიური დაცვის ზონაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისება, ასევე ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებით, მის მიერ წინასწარ განსაზღვრული მათი მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფის პირობებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2. დაუშვებელია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძველის, გასხვისება. ამ ობიექტის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით.
- 3. დაუშვებელია სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტის (მოძრავი ძველის) გასხვისება.
- 4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით დადგენილი წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საბინაო ფონდი, ასევე საცხოვრებელ შენობა-ნაგებობაში არსებული არასაბინაო ფართობები.

**მუხლი 33. საკუთრების უფლების წარმოშობა მოძრავ არქეოლოგიურ ობიექტებზე**

- 1. არქეოლოგიური ნებართვის საფუძველზე წარმოებული არქეოლოგიური, ასევე უნებართვოდ წარმოებული მიწის სამუშაოებისას აღმოჩენილი მოძრავი არქეოლოგიური ობიექტი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას.
- 2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სხვა ნებისმიერი სახის საქმიანობის შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებზე (შემთხვევითი აღმოჩენა) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
- 3. შემთხვევით აღმოჩენის შემთხვევაში, აღმოჩენი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ამ კანონის III თავით დადგენილი წესით აცნობოს სამინისტროს.
- 4. სახელმწიფოს გააჩნია არქეოლოგიური ობიექტის უპირატესი შესყიდვის უფლება.

**მუხლი 34. ძველის მესაკუთრის (მფლობელის) პასუხისმგებლობა**

1. იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ძველის მესაკუთრე/მფლობელი ვერ უზრუნველყოფს ძველის მოვლა-პატრონობას ასევე, როდესაც დგინდება, რომ მესაკუთრე (მფლობელი) განზრახ ან გაუფრთხილებლობით ახდენს ძველზე იმგვარ ზემოქმედებას, რის გამოც ძველს ემუქრება დაზიანების, განადგურების ან გატაცების საფრთხე, მესაკუთრეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება კანონით.

2. მესაკუთრის (მფლობელის) მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას, სამინისტრო ვალდებულია წერილობით გააფრთხილოს მესაკუთრე (მფლობელი), დაუდინოს მას ძველის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის ვადა და კონკრეტული ქმედებების განსახორციელებელი პირობები.

3. ძველის მესაკუთრის მიერ, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში ძველის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს ჯარიმის გასამმაგებას.

4. გასამმაგებული ჯარიმის დაკისრებიდან დადგენილი ვადის გასვლის შემთხვევაში, თუ ძველის მესაკუთრე (მფლობელი) ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების შესრულებას, დაკისრებული ჯარიმა გასამმაგდება.

5. ამ მუხლის პირველ მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მიუხედავად თუ ძველის მესაკუთრის/მფლობელის მიერ არ იქნება უზრუნველყოფილი სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების შესრულება, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ძველის მესაკუთრის (მფლობელის) დადგენა ან მიგნება ვერ ხერხდება, ხოლო ძველის ინტერესები გადაუდებელ ჩარევას მოითხოვს, სამინისტრო და სხვა სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილები არიან, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, თავად განახორციელონ ან დაუკვეთონ სხვა პირს ძველის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, ამ კანონის 56-ე მუხლითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებისას სამინისტროს, სახელმწიფო ორგანოების, ან მათ მიერ განსაზღვრული სამუშაოს შემსრულებელი პირის მიერ ძველის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაწეული ყველა ხარჯს ანაზღაურებს ძველის მესაკუთრე (მფლობელი). სამუშაოების ანგარიშს ამტკიცებს სასამართლო.

7. ისეთი გადაუდებელი შემთხვევისას, როდესაც გადაწყვეტილების დაყოვნებამ შეიძლება ძველს შეუშინას აუცილებელი განადგურების საფრთხე, სამინისტრო შესაბამისი ორგანოების წინაშე აყენებს საკითხს საკუთრების უფლების შესაბამისი სასყიდლოთ ჩამართმევის შესახებ, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამართმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თუ სამინისტროსათვის წინასწარაა ცნობილი, რომ მესაკუთრე:

ა) მის მიმართ ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დადგენილი პირობების შესრულებას;

ბ) ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურებას;

8. ეს მუხლი ამ კანონის 32-ე მუხლი არ ვრცელდება „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ და სხვა რელიგიური კონფესიების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებულ ობიექტებზე.

## თავი VIII

### კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები და მათი რეჟიმები

#### მუხლი 35. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა და დადგენის წესები

1. კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა შედგება ძველის ინდივიდუალური დამცავი ზონისა და ზოგადი დამცავი ზონებისაგან.

2. ძველის ინდივიდუალური დამცავი ზონა შედგება შემდეგი არეალებისაგან:

ა) ძველის ფიზიკური დაცვის არეალი;

ბ) ძველის ვიზუალური დაცვის არეალი.

3. ზოგადი დამცავი ზონებია:

ა) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა;

ბ) განაშენიანების რეგულირების ზონა;

გ) ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა;

დ) არქეოლოგიური დაცვის ზონა;

4. ძველის ინდივიდუალური დამცავი ზონა დგინდება ავტომატურად, უძრავი ობიექტისათვის ძველის სტატუსის მინიჭების მომენტიდან. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური დამცავი ზონა ან მისი შემადგენელი არეალი შეიძლება გაფართოვდეს მინისტრის ბრძანებით. „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ნაკებობების შემთხვევაში, მინისტრის გადაწყვეტილება ძველის ინდივიდუალური დამცავი ზონის ან მისი შემადგენელი არეალის

გაფართოვების შესახებ უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას.

5. ზოგადი დამცავი ზონები დგინდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მინისტრის წარდგინების საფუძველზე.

6. მთავრობის განკარგულება ზოგადი დამცავი ზონის, ასევე მინისტრის ბრძანება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის დადგენის ან გაფართოების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

7. ერთიდაიგივე ტერიტორია შეიძლება მოექცეს რამდენიმე დამცავი ზონის ფარგლებში, რომელთაგან ზოგადი დაცვის ზონა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი.

8. იმ შემთხვევაში, თუ ერთიდაიგივე ტერიტორია მოექცევა რამდენიმე ზონის ფარგლებში, დაცვითი ზონების რეჟიმებიდან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქმედებს ამკრძალავი ნორმა.

9. დამცავი ზონების შემუშავების მეთოდოლოგია, შესაბამისი გრაფიკული და ტექსტური მასალის შედგენის წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

### **მუხლი 36. დამცავი ზონების დადგენის ზოგადი მიზნები და ამოცანები**

1. დამცავი ზონების დადგენის მიზნებია მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის ძეგლების, კულტურული ფასეულობის მქონე ურბანული ქსოვილისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა; მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიური, ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ძეგლების, როგორც ისტორიის მოწმის როლის შენარჩუნებას.

2. დამცავ ზონებში დაგეგმილი ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ხელსაყრელი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შენარჩუნებას, სანიტარულ-ჰიგიენური, სეისმური და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ძეგლებზე და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილებას. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისას დაცული უნდა იქნას ამ სფეროში საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები და ნორმები.

3. დამცავ ზონებში ძეგლების (ძეგლის) აქტიური ვიზუალური აღქმის სივრცეში დაუშვებელია დიდმასშტაბიანი სარეკლამო აბრების, ელექტრო და სატელეფონო ანძების, სატელევიზიო ანტენების და სხვა დიდმასშტაბიანი მიწისზედა საინჟინრო და ტექნოლოგიური მოწყობილობების განთავსება.

4. დამცავ ზონებში აკრძალულია ისეთი საწარმოო, სატრანსპორტო, სასაწყობო მეურნეობისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, რომელიც ხანძარსაშიშია, წარმოქმნიან ძლიერ სატვირთო და სატრანსპორტო ნაკადებს, აჭუჭყიანებენ ჰაერისა და წყლის აუზებს.

5. საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის საშუალებები უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ ისინი ჰარმონიულად ეწერებოდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში. ქალაქგეგმარებითი პოლიტიკა და მართვის პრინციპები დაცვის ზონებში მიმართულ უნდა იქნას სატრანსპორტო ნაკადების მიზანდასახულ და გეგმაზომიერ შემცირებაზე, საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

6. დამცავ ზონებში არსებული შენობებისა და სხვა არქიტექტურული ობიექტების დაშლა (დემონტაჟი) დასაშვებია მხოლოდ:

- ა) შესაბამისი რეჟიმით დაშვებული მშენებლობისას;
- ბ) ისეთი გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დასტურდება ობიექტის ჩამოშლის საფრთხე;
- გ) თუ დასაშვალ ობიექტს მინიჭებული აქვს შეუსაბამო ობიექტის სტატუსი ან დემონტაჟი განპირობებულია დამცავი ზონის მიზნებით.

7. ცალკეული დაცვითი ზონების დადგენის სპეციფიური მიზნები და ამოცანები განისაზღვრება შესაბამისი დამცავი ზონის რეჟიმით.

### **მუხლი 37. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის, მისი შემადგენელი არეალების განსაზღვრება და რეჟიმი**

1. ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონა წარმოადგენს ტერიტორიას ერთი კონკრეტული უძრავი ძეგლის ირგვლივ, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არეალებისგან და დგინდება მისი ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.

2. ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი წარმოადგენს ტერიტორიას უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერი სახის ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ობიექტი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, არანაკლებ 50 მეტრისა.

3. ფიზიკური დაცვის არეალში იკრძალება ყველა სახის საქმიანობა, რაც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის:

- ა) იმგვარ მოქმედებათა ჩატარება, რომელიც მოახდენს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას.
- ბ) ქიმიურ, აღვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა.

გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურებიან ძველის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას.

დ) მცენარეების იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რამაც შეიძლება დაახიანოს ძველი.

4. ძველის ვიზუალური დაცვის არეალი წარმოადგენს ტერიტორიას ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძველის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ანდა ძველის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება:

ა) ძველებისათვის 300 მეტრის რადიუსით;

ბ) ეროვნული მნიშვნელობის ძველებისათვის 500 მეტრის რადიუსით;

გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ძველებისათვის 1000 მეტრის რადიუსით;

5. იმ შემთხვევაში, თუ ძველი მდებარეობს ქალაქის ტერიტორიაზე, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებული მანძილი მცირდება ორჯერ.

6. ვიზუალური დაცვის არეალში იკრძალება იმ სახის მოქმედებათა ჩატარება, რაც დაახიანებს ძველის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ობიექტის ოპტიმალურ ხედვას, ხელს შეუშლის მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.

7. ამ მუხლში მითითებული არეალების განსაზღვრისათვის ძველის სიმაღლედ მიიჩნევა მისი უმაღლესი ნიშნული, ხოლო მანძილი ძველიდან დაცვითი არეალის საზღვრამდე ათვლება ძველის გარე კონტურიდან, ძველის ცენტრიდან გავლებული რადიუსის მიმართულებით.

### **მუხლი 38. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის განსაზღვრება და რეჟიმი**

1. ისტორიული ნაწილის დაცვის ზონა წარმოადგენს ტერიტორიას, სადაც გამოვლენილია ძველებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების დიდი კონცენტრაცია, ავთენტური სახით შენარჩუნებული ქუჩათა ქსელი, განაშენიანება, გეგმარებითი სტრუქტურა და მორფოლოგია.

2. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში დაცული ძველების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმებისა და იერსახის შენარჩუნება, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის (დაგეგმარების სტრუქტურა, მორფოლოგია, შენობების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, იერსახე, ლანდშაფტი და სხვა), დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო, სამშენებლო და სხვა სამუშაოთა რეგულირება, საქალაქო გარემოს გაჯანსაღება, დეგრადირებული ურბანული ქსოვილის ისტორიულ სახესთან მაქსიმალურად მიახლოება, ისტორიული განაშენიანების ეკონომიკური და კულტურული პოტენციალის რეალიზაცია.

3. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ქალაქგეგმარებითი და სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენისას უზრუნველყოფილი უნდა იქნას ისტორიული გარემოს დაგეგმარების, განაშენიანების, ლანდშაფტის შენარჩუნება, მათი დაკარგული ელემენტების აღდგენის შესაძლებლობა.

4. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში დასაშვებია მხოლოდ შემდეგი სახის მშენებლობა:

ა) თუ სამშენებლო ობიექტი ენაცვლება მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფ, ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებას მოკლებულ შენობას, ნაგებობას ან საინჟინრო-საკომუნიკაციო ქსელს;

ბ) თუ სამშენებლო საქმიანობამ უნდა გააუმჯობესოს დეგრადირებული ურბანული ქსოვილი (შეავსოს ისტორიულ განაშენიანებაში ნგრევის შედეგად გაჩენილი სივრცეები, შეცვალოს ღირებულ შენობებს შორის მოქცეული არაღირებული ნაგებობები, გამოათავისუფლოს სივრცე ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტანი ნაგებობებისაგან, აღადგინოს მისი ისტორიული გარემო თავდაპირველი სახით და სხვა).

5. საპროექტო ობიექტის კონფიგურაცია, პროპორციები და გეგმარებითი სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს. შენობა ორგანოდ უნდა ეწერებოდეს განაშენიანების ტრადიციულ ფორმებში და გარემოში, არ უპირისპირდებოდეს ისტორიული განაშენიანების იერსახეს, მორფოლოგიასა და მასშტაბს, ლანდშაფტურ გარემოს.

6. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში დაუშვებელია ისეთი ტერიტორიების განაშენიანება, რომლებიც ისტორიულად არ ყოფილან განაშენიანებულნი.

7. ტერიტორიაზე, სადაც მეცნიერული კვლევის საფუძველზე დასტურდება არაუმეტეს 50 წლის წინ მაღალი ისტორიულ-კულტურული ღირებულების არქიტექტურული ობიექტის არსებობა, მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ სათანადო კვლევის საფუძველზე დამუშავებული, ამ ობიექტთან მაქსიმალურად მიახლოებული პროექტით.

8. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ქუჩათა ქსელის შეცვლა, გაფართოება, ნიშნულების ამაღლება, დაწევა ან სხვა ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი გეგმარებითი და მეცნიერული დასაბუთების საფუძველზე, ისტორიულ იერსახესთან მაქსიმალურად მიახლოებით.

### **მუხლი 39. განაშენიანების რეგულირების ზონის განსაზღვრება და რეჟიმი**

1. განაშენიანების რეგულირების ზონა წარმოადგენს ტერიტორიას, სადაც ავთენტური სახით შემორჩენილია ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის ფრაგმენტები, ან/და ცალკეული ძველები, კულტურული ფასეულობის მქონე სხვა უძრავი ობიექტები, ფონური

განაშენიანება. განაშენიანების რეგულირების ზონა შეიძლება ასევე წარმოადგენდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი სხვა ზონის ბუფერულ ზონას.

2. განაშენიანების რეგულირების ზონის დადგენის მიზანია ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი განაშენიანების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფა.

3. განაშენიანების რეგულირების ზონაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცითი დომინანტების განმტკიცება და აღდგენა გარემოს არქიტექტურულ-სივრცობრივ ორგანიზაციაზე, ძეგლებისათვის და კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტებისათვის არქიტექტურული და სივრცითი გარემოს, ისტორიულად ჩამოყალიბებული დაგეგმარების სტრუქტურის ან მისი ფრაგმენტების შენარჩუნება.

4. განაშენიანების რეგულირების ზონაში, ისტორიული ნაწილის დაცვის ზონაში დაშვებული მშენებლობების გარდა ასევე დასაშვებია ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ამ და 39-ე მუხლების მოთხოვნებს.

5. ძეგლთა უკეთ წარმოჩენის, ასევე ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი განაშენიანების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფის მიზნით, განაშენიანების რეგულირების ზონაში აუცილებელია დადგინდეს აღქმის განსაკუთრებულად ხელსაყრელი წერტილები, შენარჩუნებულ იქნას პანორამებისა და ცალკეულ ძეგლთა ხილვის შესაძლებლობა ახალ მშენებლობათა რეგლამენტების და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში შეუსაბამო ობიექტების აღების გზით.

#### **მუხლი 40. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის განსაზღვრება და რეჟიმი**

1. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა წარმოადგენს ისტორიული, კულტურული, ესთეტიკური ფასეულობის მქონე ბუნებრივ, სასოფლო ან ურბანულ ტერიტორიას, რომლის ჩამოყალიბება ისტორიული განვითარების მანძილზე მთლიანად ან ნაწილობრივ ადამიანის საქმიანობის შედეგია ან წარმოადგენს ცალკეული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ბუნებრივ გარემოს.

2. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ზონების, ასევე, ისტორიულ მთავლებთან, გადმოცემებთან და ფოლკლორთან დაკავშირებული ადგილების ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და მისი იერის აღდგენა.

3. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში აუცილებელია: ბუნებრივი რელიეფისა და წყალსატევების შენარჩუნება, ლანდშაფტის განთავისუფლება კულტურულ ღირებულებას მოკლებული, დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობებისა და ნარგავებისაგან, მცენარეული საფარის დაცვა-რეგულირება, ტყისა და მწვანე საფარის ბუნებრივი აღდგენის უზრუნველყოფა, მდელისა და სხვა ტერიტორიების დაცვა დამეწყვისა და წალექებისაგან.

4. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში დაშვებულია მხოლოდ:

ა) შემდეგი სამშენებლო სამუშაოები:

ა.ა) კულტურული ან ისტორიული ღირებულების მქონე შენობა-ნაგებობების კვლევითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ა.ბ) დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებულ მიზნებთან და ამოცანებთან ფუნქციურად დაკავშირებული ნაგებობების, საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებული დროებითი ნაგებობებისა ან სახელმწიფოებრივი ინტერესით განპირობებული იმგვარი საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობა, რომელიც მნიშვნელოვნად არ უცვლის სახეს ისტორიულ რელიეფსა და ლანდშაფტს, არ აუარესებს ზონაში დაცული და ვიზუალური აღქმის არეალში განლაგებული კულტურული მემკვიდრეობის აღქმას.

ბ) ისეთი სამეურნეო საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებულ მიზნებს და ამოცანებს.

#### **მუხლი 41. არქეოლოგიური დაცვის ზონის რეჟიმი**

1. არქეოლოგიური დაცვის ზონა წარმოადგენს ტერიტორიას, სადაც გამოვლენილი, დაფიქსირებული ან დაზვერილია კულტურული ფენები ან/და არქეოლოგიური ობიექტები.

2. არქეოლოგიური დაცვის ზონის მიზანია მასში არსებული არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ფენების, უკვე გამოვლენილი ან დაზვერილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიის დაცვის უზრუნველყოფა.

3. არქეოლოგიური დაცვის ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მათზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას, მათ შორის:

ა) მიწის ყოველგვარი სამუშაოები, გარდა სასოფლო-სამეურნეო და არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული მიწის სამუშაოებისა;

ბ) ნებისმიერი სახის სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამეურნეო ნარჩენების, ასევე არქეოლოგიური გათხრების დროს დანაგროვი ფუჭი ქანების დაყრა.

4. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ არქეოლოგიური დაცვის ზონაში გარკვეული სახის საქმიანობა, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობა, გარკვეული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ან საფეხმავლო მიმოსვლა, დაზიანების ან განადგურების საფრთხეს შეუქმნის არქეოლოგიურ ობიექტებს ან კულტურულ ფენებს, სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ზონის ფარგლებში შეზღუდოს ან აკრძალოს ამგვარი საქმიანობა. ამ შემთხვევაში ზონის ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფა,

სარტნხსპორტო მიმოსვლის შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევაში, ასევე შესაბამისი ნიშანი, სადაც მიეთითება ზონაში საქმიანობის შეზღუდვის ან აკრძალვის შესახებ.

**მუხლი 42. დამცავ ზონებში ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შეთანხმებისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების წესი**

1. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციას ამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტები უნდა განხორციელდეს სამინისტროს დადებითი დასკვნის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 43. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების დაგეგმვა, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, განაშენიანების რეგულირების გეგმა**

1. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმას, სამინისტროსთან შეთანხმებით, კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ორგანო.

2. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა მრავალდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე შემუშავებული სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსური დოკუმენტია, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მასში არსებული ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ამსახველ ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალას და შეიცავს რეკომენდაციებს მათი დაცვისათვის აუცილებელი ქალაქმშენებლობითი და გეგმარებითი რეგლამენტაციის შესახებ;

3. ისტორიულ კულტურული საყრდენი გეგმა შედგება საინფორმაციო, ანალიტიკური და დასკვნითი ნაწილებისაგან.

4. ისტორიულ კულტურული საყრდენი გეგმის საინფორმაციო ნაწილი წარმოადგენს კომპლექსურ საინფორმაციო ბაზას ტერიტორიის არსებული მდგომარეობის შესახებ და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) მითითება შესაბამის დამცავ ზონაზე (ზონებზე);
- ბ) ტერიტორიის სიტუაციური გეგმა;
- გ) ტერიტორიის საზღვრების გეგმა კოორდინატების მითითებით;
- დ) ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა;
- ე) საარქივო რუკები და ფოტოები, ბიბლიოგრაფიული მასალა;
- ვ) უძრავი ძეგლის საადრიცხვო ბარათით გათვალისწინებული ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებულ ყველა შენობა-ნაგებობაზე;

ზ) შემდეგი ინფორმაციის შემცველი თემატური რუკები მასშტაბით 1:2000:

ზ.ა) ტერიტორიაზე არსებული ძეგლები და მათი ინდივიდუალური დამცავი ზონები ასევე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტები;

- ზ.ბ) ფონური განაშენიანება და შეუსაბამო ობიექტები;
- ზ.გ) განაშენიანების მორფოლოგია და გეგმარებითი სტრუქტურა;
- ზ.დ) შენობა-ნაგებობების ტიპოლოგია;
- ზ.ე) შენობა-ნაგებობების ფუნქციური დანიშნულება;
- ზ.ვ) შენობა-ნაგებობების საკუთრების ფორმები;
- ზ.ზ) შენობა-ნაგებობების სართულიანობა;
- ზ.თ) შენობა-ნაგებობების ფიზიკური მდგომარეობა;
- ზ.ი) შენობა-ნაგებობების დათარიღება;
- ზ.კ) სამშენებლო მასალები;
- ზ.ლ) ტერიტორიაზე არსებული ურბანული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტები;
- ზ.მ) ისტორიული განაშენიანების ღირებული პანორამები, პერსპექტივები და მათი აღქმის წერტილები;

ზ.ნ) კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ლანდშაფტის საზღვრები;

ზ.ო) ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარი, მათ შორის, ქუჩათა გამწვანება, მწვანე მასივები, სკვერები, ბაღები და პარკები;

- ზ.პ) ქუჩათა ქსელის კლასიფიკაცია;
- ზ.ჟ) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა;
- ზ.რ) საინჟინრო კომუნიკაციები და მათი ფიზიკური მდგომარეობა;
- ზ.ს) ტერიტორიის ზოგადი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სურათი;
- ზ.ტ) ისტორიული ღირებულების მქონე წიაღისეული, მათ შორის მიწისქვეშა მინერალური და თერმული წყლების და წყაროები;

ზ.უ) არსებული ტერიტორიის გრძივი და განივი ჭრილები, მნიშვნელოვან ქუჩათა განშლები შენობა-ნაგებობათა ძირითადი ნიშნულების ჩვენებით;

თ) ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ღირებული ობიექტების, არქიტექტურული და კონსტრუქციული დეტალების, ასევე ურბანული და ბუნებრივი პანორამების ფოტოფიქსაცია;

5. ისტორიულ კულტურული საყრდენი გეგმის ანალიტიკური ნაწილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ზოგადი დახასიათება:

ა.ა) ტერიტორიის ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა ქალაქმშენებლობით გარემოში;

ა.ბ) ბუნებრივი გარემოს ათვისების თავისებურების შეფასება-ანალიზი;

ა.გ) ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტებისა და მათი მათი გარემოზე ზემოქმედების შეფასება-ანალიზი;

ბ) ისტორიულ-კულტურული ანალიზი:

ბ.ა) ქუჩათა ქსელის ჩამოყალიბება;

ბ.ბ) ტერიტორიაზე განაშენიანების ქრონოლოგიური განვითარება;

ბ.გ) განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებული ტიპოლოგიის, მათი ძირითადი მახასიათებლების ანალიზი;

ბ.დ) ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიის ანალიზი;

ბ.ე) ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციებისა და მათი არქიტექტურულ სივრცით გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების შეფასება და ანალიზი;

ბ.ვ) ტერიტორიის მწვანე საფარის შეფასება და ანალიზი;

გ) ქუჩათა ქსელისა და განაშენიანების ფიზიკური მდგომარეობის და მათი ისტორიულ-კულტურული ღირებულებების კომპლექსური ანალიზი.

6. ისტორიულ კულტურული საყრდენი გეგმის დასკვნითი ნაწილი განსაზღვრავს ზონაში არსებული განაშენიანების საერთო ისტორიულ-არქიტექტურულ ღირებულებებს და შეიცავს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

ა) სარეაბილიტაციო ობიექტების (ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტები, ფონური განაშენიანება, საზოგადოებრივი სივრცე, ა.შ) და მათი რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის განსაზღვრა (კონსერვაცია, რესტავრაცია, ადაპტაცია და სხვა ამ კანონით დაშვებული მეთოდები);

ბ) კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ელემენტების (ხის და ლითონის ნაკეთობები (აივნები, კარები, კიბეები, ა.შ), შემინვა, სახურავები, ქუჩის კეთილმოწყობის ელემენტები, ფერი, ფასადების მოპირკეთება, ფასადების დეკორი, ა.შ) და მათი რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;

გ) კონსერვაციისა და განვითარების არეალების დადგენა, მათ შორის ასაღები და შესანარჩუნებელი შენობა-ნაგებობების განსაზღვრა;

დ) მწვანე საფარის შენარჩუნება-განვითარება და აღდგენის არეალებისა და მცენარეთა სახეობების განსაზღვრა, გარემოში დისონანსის შემტანი ან სხვაგვარად ზიანის მოტანი ნარგავებისა და მათგან განთავისუფლების ღონისძიებათა მეთოდოლოგიის შემუშავება.

7. ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმა, გარდა „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონისა, დამატებით უნდა მოიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

ა) მოთხოვნები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის შესახებ:

ა.ა) სარეაბილიტაციო ობიექტების (ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები, ფონური განაშენიანება, საზოგადოებრივი სივრცე) იდენტიფიკაცია და რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის განსაზღვრა (კონსერვაცია, რესტავრაცია, ადაპტაცია);

ა.ბ) კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ელემენტების (ხის და ლითონის ნაკეთობები, მათ შორის აივნების, კარების, ჭიშკრების, კიბეების და ა.შ, სახურავები, შემინვა, ქუჩის კეთილმოწყობის ელემენტები, ფერი, ფასადების მოპირკეთება, ფასადების დეკორი, ა.შ) იდენტიფიკაცია და მათი რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;

ა.გ) მოთხოვნები ტრადიციული სამშენებლო მასალებისა და ტექნოლოგიების შესახებ;

ბ) მოთხოვნები ტერიტორიების განვითარებისა და ახალმშენებლობების შესახებ:

ბ.ა) კონსერვაციისა და განვითარების არეალების იდენტიფიკაცია (ასაღები და შესანარჩუნებელი შენობების მითითებით);

ბ.ბ) განვითარების არეალებში ახალმშენებლობების დასაშვები პარამეტრები (მასშტაბი, სიმაღლე, სივრცითი და გეგმარებითი კონფიგურაცია, ფასადების რითმი, ფენესტრაცია, ფერი, სამშენებლო მასალა, საინჟინრო აღჭურვა);

ბ.გ) მოთხოვნები შენობათა ტიპოლოგიისა და ფუნქციური დატვირთვის შესახებ;

ბ.დ) მოთხოვნები შენობათა საინჟინრო აღჭურვის შესახებ;

ბ.ე) მოთხოვნები საზოგადოებრივი სივრცის კეთილმოწყობის შესახებ;

ბ.ვ) მოთხოვნები მწვანე მასივების, ბაღების, პარკების და გამწვანების შესახებ;

8. იმ შემთხვევაში, როდესაც დამცავი ზონა, რომლისთვისაც მუშავდება განაშენიანების რეგულირების გეგმა, მოიცავს არაერთგვაროვან უბნებს ან არეალებს, განაშენიანების რეგულირების გეგმის რეგლამენტი უნდა შემუშავდეს ინდივიდუალურად, შესაბამისი უბნის, მიკროუბნის ან არეალისათვის.

#### მუხლი 44. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

1. იმ შემთხვევაში, თუ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში არ არსებობს ამ კანონით დადგენილი წესით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, თითოეული სამშენებლო ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შემუშავდეს წინასაპროექტო ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის საფუძველზე. საპროექტო ობიექტის მოცულობა, გეგმარებითი სტრუქტურა და არქიტექტურული სახე დგინდება ამ კვლევის საფუძველზე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ობიექტები.

2. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის ჩატარებას უზრუნველყოფს ნებართვის მაძიებელი. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის არეალი უნდა მოიცავდეს საპროექტო ნაკვეთის ირგვლივ მდებარე ტერიტორიას, საპროექტო ნაკვეთის საზღვრებიდან შესაბამისი მიმართულებით ნაკვეთის სივრცის/სივრცის არანაკლებ ორმაგი მანძილის ფარგლებში. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დოკუმენტაცია უნდა შედგებოდეს შემდეგი გრაფიკული და ტექსტური ნაწილებისაგან:

ა) საპროექტო ტერიტორიის ადგილი ქალაქის სტრუქტურაში და მისი არსებული მდგომარეობის დახასიათება; (გრაფიკული და ტექსტური მასალა);

ბ) საკვლევი ტერიტორიის ტოპოგეგმა საპროექტო ნაკვეთის საზღვრების, საკვლევი ტერიტორიაზე არსებული ძეგლების ჩვენებით მ. 1:500 და 1:200;

გ) საკვლევი ტერიტორიის ისტორიული რეტროსპექტივა, განვითარების ქრონოლოგია და ეტაპები; (გრაფიკული, ტექსტური და ფოტო მასალა)

დ) საკვლევი ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ორთოგონალური გრძივი და განივი განშლები, საპროექტო ნაკვეთის, ძეგლებისა და ვიზუალური დომინანტების მითითებით (გრაფიკული მასალა);

ე) საკვლევი ტერიტორიაზე არსებული განაშენიანებისა და მწვანე საფარის ანალიზი (გრაფიკული და ტექსტური მასალა), რაც მოიცავს:

ე.ა) განაშენიანების სტრუქტურის, მორფოლოგიის და მასშტაბის, შენობა-ნაგებობებისა და ღია სივრცეების კონფიგურაციის დახასიათებას, განაშენიანების სტრუქტურაში მათი განლაგების თავისებურების გამოვლენას;

ე.ბ) ძეგლებისა და ვიზუალური დომინანტების, ლანდშაფტისა და განაშენიანების სივრცით-არქიტექტურულ შეფასებას, მათი სივრცითი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენას;

ე.გ) განაშენიანების მხატვრული და დეკორატიული ელემენტების აღწერას, მათ სტილისტურ და სემანტიკურ იდენტიფიკაციას

ე.დ) ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დასკვნითი ნაწილი უნდა მოიცავდეს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს საპროექტო ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის გეგმარებითი, ფუნქციური, სტრუქტურული, მოცულობითი და კომპოზიციური გადაწყვეტის შესახებ.

3. ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა სავალდებულო არ არის შემდეგი ობიექტებისა და სამშენებლო საქმიანობებისათვის:

ა) მცირე არქიტექტურული ფორმები, კერძოდ:

ა.ა) 50 მ<sup>2</sup>-მდე მოცულობის ნაგებობები – პავილიონები, ჯიხურები, უსაძირკველი სავაჭრო დახლები, საჩრდილობლები, ავტოფარეხები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების ადგილები;

ა.ბ) 50 მ<sup>2</sup>-მდე ფართობის ბავშვთა სათამაშო და მცირე ზომის სპორტული მოედნები, ატრაქციონები;

ა.გ) ცალკე მდგომი ან შენობების ფასადებზე დამონტაჟებული საინფორმაციო თუ სარეკლამო ფარები და კონსტრუქციები;

ა.დ) დასასვენებელი სკამები, განათების ელემენტები, სკვერების, ხეივნების და სხვა მცირე ზომის მწვანე ნარგავების ზონების კეთილმოწყობის და საინჟინრო აღჭურვილობის ნაწილები, აბრები, სანაგვე ურნები, საქალაქო საათები და ქუჩების დასახელებების და სახლების ნომრების ნიშნები, ღობეები, ჭიშკრები, მაღაზიების ვიტრინები, დასახლებაში შესასვლელის აღმნიშვნელი კომპლექსები, მემორიალური დაფების და ქანდაკებების არქიტექტურული მოწყობის ელემენტები, სასმელი წყლის სვეტები, 25 მ<sup>2</sup>-მდე ფართობის შადრევნები;

ბ) არსებული შენობების მცირე ცვლილებები საერთო ფართობით არაუმეტეს 50.0 კვ.მ-სა: სახურავის შეცვლა არსებულ გაბარიტებში, 50 მ<sup>2</sup>-მდე მოცულობის დაშენება ან მიშენება, კარების, ფანჯრის გაჭრა ან ამოშენება, აივნის დამატება ან მოხსნა.

### **მუხლი 45 კულტურული მემკვიდრეობისათვის საფრთხის შემცველი საქმიანობის აღკვეთა**

დაცვითი ზონის რეჟიმით დაუშვებელი, ზონაში ან დაცვითი ზონის მიღმა არსებული კულტურული მემკვიდრეობისათვის ზიანის მომტანი ან ამგვარი საფრთხის შემქმნელი საქმიანობის გამოვლენის შემთხვევაში, სამინისტრო, საქმიანობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის მოთხოვნით მიმართავს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

### **მუხლი 46 დამცავ ზონებში შეუსაბამო შენობა-ნაგებობის სტატუსის მინიჭების პირობა**

1. „დამცავ ზონებში, გარდა სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა, შეუსაბამო შენობა-ნაგებობის სტატუსი ასევე ენიჭება ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში დისონანსის შემტან, მისი აღქმისათვის ხელშემშლელ, ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობისათვის პრაქტიკულად თუ ესთეტიკურად ზიანის მომტან შენობას, ნაგებობას, საწარმოს, სახელსნოს, საწყობს, ასევე, სატვირთო

და სატრანსპორტო ნაკადების წარმომქნელ, ნიადაგის, ატმოსფეროსა და წყალსატევების გამაჭუჭყიანებელ სხვა ობიექტს.

2. ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებისა და დამტკიცებისას, ასევე სამშენებლო და გეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღებისას, კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოები ვალდებული არიან გაითაღისწინონ შეუსაბამო ობიექტების აღებისა და კორექტირების პერსპექტივა.

## თავი IX

### კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების, ასევე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების სამართლებრივი საფუძვლები, ნებართვების გაცემის წესი და სანებართვო პირობები

**მუხლი 47. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების სამართლებრივი საფუძვლები, ნებართვის გაცემის წესი**

1. ძეგლზე, ამ კანონის 26-ე მუხლით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა, გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-10 პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა.

2. თუ ძეგლი იმავდროულად წარმოადგენს განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტს, მასზე ჩასატარებელ სამუშაოებზე გაიცემა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. ძეგლზე სამუშაოების ნებართვა გაიცემა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ხოლო უძრავი ძეგლის შემთხვევაში ასევე კვლევით სამუშაოებზე, თუ ეს სამუშაოები გულისხმობს ძეგლზე ფიზიკურ ზემოქმედებას.

4. ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოებზე შეიძლება გაიცეს ამ მუხლის 1-ლი ან მე-2 პუნქტით განსაზღვრული მხოლოდ ერთი სახეობის ნებართვა და ძეგლზე სამუშაოების ჩატარება სხვა ნებართვას არ საჭიროებს.

5. არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა, გარდა ძეგლზე განსახორციელებელი არქეოლოგიური სამუშაოებისა და ამ მუხლის მე-10 პუნქტში მითითებული შემთხვევებისა. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ საველე არქეოლოგიურ სამუშაოებზე, რომელიც გულისხმობს არქეოლოგიურ ობიექტზე ფიზიკურ ზემოქმედებას.

6. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვას გაცემს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, მთავრობის დადგენილების საფუძველზე, შესაბამისი უფლებამოსილები ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულისა და გარემო პირობების გათვალისწინებით, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

7. ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ძეგლის მესაკუთრე ან მისგან უფლებამოსილი პირი, ხოლო არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მაძიებელი შეიძლება იყოს მხოლოდ შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ან მისგან უფლებამოსილი პირი, გარდა ამ კანონის 55-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა;

8. თუ ძეგლზე სამუშაოები ან არქეოლოგიური სამუშაოები უნდა განახორციელოს ს.ს.ი.პ. საქართველოს ეროვნულმა არქივმა და სახელმწიფო ორგანომ, სამუშაოების განსახორციელებლად წარმოებს ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი პროცედურა, მაგრამ სანებართვო მოწმობა არ გაიცემა.

9. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებაზე უფლებამოსილია მხოლოდ ამ სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიურ სამუშაოებზე სერტიფიცირების წესები დგინდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. ამ მუხლით განსაზღვრული ნებართვა არ გაიცემა, თუ სამუშაოების განხორციელებაზე არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება.

11. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო მოწმობაში უნდა მიეთითოს ნებართვის მფლობელის ვინაობის, შესაბამის განცხადების თარიღისა და სარეგისტრაციო ნომრის, განსახორციელებელ სამუშაოთა სახეობისა და განხორციელების ვადების შესახებ. სანებართვო მოწმობების ფორმები მტკიცდება მინისტრის ნორმატიული აქტით.

12. ამ თავით განსაზღვრული ნებართვების გაცემის სხვა წესი და სანებართვო პირობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

**მუხლი 48. განცხადების წარდგენა ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად**

1. განცხადება ძეგლზე სამუშაოებისა ან არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მისაღებად უნდა შეიცავდეს ზუსტ მითითებას, თუ რა სახისა და მოცულობის სამუშაოებს ისახავს მიზნად ნებართვის მაძიებელი.

2. განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია ნებართვის გამცემ ორგანოს წარედგინება ორ ეგზემპლარად, რომლიდანაც გადაწყვეტილების შემდეგ, ერთი, სათანადო წესით დამოწმებული, გადაეცემა ნებართვის მფლობელს.

3. განცხადებას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, საჭიროა დამატებით ერთვოდეს:

ა) შესაბამისი სამუშაოების ამ კანონით განსაზღვრული სრული საპროექტო დოკუმენტაცია, გარდა ამ კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) უძრავი ობიექტის შემთხვევაში, შესაბამისი ობიექტის ან ტერიტორიის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და საკადასტრო რუკა; ხოლო თუ ნებართვის მაძიებელი არ არის ძველის ან შესაბამისი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, განცხადებას ასევე უნდა დაერთოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) თუ უძრავი ობიექტი წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, განცხადებას უნდა დაერთოს უძრავი ობიექტის სახელმწიფო საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ შემთხვევაში, ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით მონაწილეობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, რომლის მიერ, განცხადებით განსაზღვრულ სამუშაოებზე თანხმობა ან დასაბუთებული უარი გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით.

4. არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის შემთხვევაში, განცხადებას ასევე უნდა დაერთოს მუხეუმის, ინსტიტუტის ან სხვა შესაბამისი დაწესებულების თანხმობის წერილი სამუშაოთა განხორციელების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის განთავსებისა და მისი შენახვის პირობების უზრუნველყოფის შესახებ.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ძველზე სხვა სამუშაოებთან ერთად ან დამოუკიდებლად უნდა განხორციელდეს არქეოლოგიური სამუშაოები, განაცხადს ძველზე სამუშაოების ნებართვის გაცემის თაობაზე უნდა დაერთოს ამ კანონით განსაზღვრული არქეოლოგიური სამუშაოების პროექტი.

#### **მუხლი 49. ძველზე სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა**

1. მოძრავი ძველის, ასევე უძრავი ძველის გადაადგილებადი ფრაგმენტის (გარდა პალეოგრაფიული და მონუმენტური სახითი ხელოვნების ძეგლებისა) კვლევის და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) ძველის არსებული მდგომარეობის ფიქსაცია, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები, შესაბამისი ანალიზები;

გ) სამუშაო გეგმა, მის დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით, მოსალოდნელი შედეგების აღწერა;

დ) სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;

2. უძრავი ძველის კვლევის სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს:

ა.ა) ძველის ზუსტი დასახელება, მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი;

ა.ბ) სამუშაოების სახეობა (სახეობები) და მოცულობა, შერჩეული მეთოდოლოგია;

ა.გ) განმარტებითი ბარათით დასაბუთებული უნდა იყოს კვლევის მიზნით ძველზე ფიზიკური ზემოქმედების აუცილებლობა და მათი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

ა.დ) კომპლექსური ძველის შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული ძველის კონსერვაციის გეგმა, ხოლო პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ მისი ფრაგმენტის შესწავლას, განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს სამუშაოების კონსერვაციის გეგმასთან შესაბამისობის შესახებ;

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ 1:1000 ან 1:2000, ადგილმდებარეობის განმსაზღვრელი გლობალური თანამგზავრული სისტემით განსაზღვრული კოორდინატებით (შემდგომში GPS კოორდინატები);

გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტო-მასალა;

დ) სამუშაო გეგმა, მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი.

ე) მოსალოდნელი შედეგების აღწერა;

3. უძრავი ძველის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი უნდა შემუშავდეს კვლევის სამუშაოების საფუძველზე. იგი, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული შემთხვევისა, შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);

ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ 1:1000 ან 1:2000;

გ) საპროექტო ობიექტისა და მისი საერთო ხედების ამსახველი ფოტო მასალა, საპროექტო ნაწილის განშლა მიმდებარე ნაგებობებთან ერთად, დაზიანების არსებობის შემთხვევაში, ლოკალური დაზიანების ფოტომასალა, საარქივო ფოტო-მასალა, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების ფოტომონტაჟი;

- დ) ძეგლის ანაზომები (კროკები, მასშტაბში გამოსახული ნახაზები მ 1:100, 1:50);
  - ე) სახელოვნებათმცოდნეო კვლევის შედეგები (ბიბლიოგრაფიული კვლევის ანალიზი, ნატურაში კვლევის ანალიზი, შესწავლილი ბიბლიოგრაფიული და საარქივო მასალის ჩამონათვალი);
  - ვ) კვლევითი სამუშაოებისას არქეოლოგიური კვლევის ჩატარების შემთხვევაში, არქეოლოგიური კვლევის შედეგები (საკვლევი ტერიტორიის კვადრატებად დაყოფის სქემა, არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ძეგლების განლაგების სქემა და ანაზომი, შურფების განლაგების სქემა დადასტურებული არქეოლოგის მიერ ხელმოწერით, კროკები, გამოსახული ნახაზები (მ 1:25, 1:20), ტექსტური აღწერილობა, არქეოლოგიური კვლევის შედეგების ანგარიში);
  - ზ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (შურფების განლაგების სქემა დადასტურებული არქეოლოგის მიერ ხელმოწერით, ლაბორატორიული ანალიზი, ლითოგრაფიული ჭრილები და რეკომენდაციები);
  - თ) არსებული სამშენებლო მასალების ბიოქიმიური ანალიზი (აღებული სინჯების განლაგების სქემა, ლაბორატორიული ანალიზი და რეკომენდაციები), კვლევა სამუშაოებისას გამოსაყენებელი მასალის ძეგლზე არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ;
  - ი) ზონდირების შემთხვევაში, ზონდაჟების განლაგების სქემა, კროკები, გამოსახული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტურ აღწერილობა;
  - კ) არქიტექტურული დეტალების განლაგების სქემები, კროკები, გამოსახული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
  - ლ) კონსტრუქციული დეტალების განლაგების სქემა, კროკები, გამოსახული ნახაზები (მ 1:25, 1:20) და ტექსტური აღწერილობა;
  - მ) სადემონსტრაციო მასალა (გეგმები, ფასადები, ჭრილები (მ 1:50, 1:100, 1:200), ფრაგმენტები და დეტალები (მ 1:20, 1:10), ფოტომონტაჟი და პროექტის დასაბუთება;
  - ნ) სამუშაო პროექტი (არქიტექტურული სამუშაო ნახაზები, შაბლონები (მ 1:100, 1:50, 1:1), კონსტრუქციული მუშა ნახაზები და გაანგარიშებები;
  - ო) სამუშაო გეგმა; მის დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარულ გრაფიკი.
  - პ) სამუშაოთა წარმოების ორგანიზაციის პროექტი;
  - ჟ) მოსალოდნელი შედეგების აღწერა;
4. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების (ფასადის სამღებრო სამუშაოები; აბრებისა და შუქურების განთავსება; საინჟინრო კომუნიკაციების, სახურავის საფარისა და სარინელების შეკეთება, გამოცვლა, მონტაჟი მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე; ცალკეული არქიტექტურული დეტალების, მათ შორის, დიობების, კიბეების, აივნების, დეკორატიული ელემენტების სახეცვლილება, ინტერიერში ჩასატარებელი სარესტავრაციო, სამღებრო ან სარემონტო, ასევე ძეგლის გაწმენდის სამუშაოები) შედეგა შემდეგი ნაწილებისაგან:
- ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);
  - ბ) საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ 1:1000 ან 1:2000
  - გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტო-მასალა;
  - დ) სამუშაოების ამსახველი გრაფიკული მასალა, შესაბამისი ნიშნულების ჩვენებით;
  - ე) ძეგლის შესაბამისი ნაწილის ანაზომები;
  - ვ) სახელოვნებათმცოდნეო კვლევა ჩასატარებელ სამუშაოთა დასაბუთებით;
  - ზ) სამუშაო გეგმა, სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი;
  - თ) პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების ფოტომონტაჟი.
5. იმ შემთხვევაში, როდესაც ძეგლზე სამუშაოები მოიცავს მისი პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ფრაგმენტსაც, ძეგლზე სამუშაოების პროექტს ასევე უნდა დაერთოს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.
6. პალეოგრაფიული ან მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:
- ა) განმარტებითი ბარათი (პრობლემის დეტალური აღწერა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, შერჩეული მეთოდოლოგიის დასაბუთება);
  - ბ) უძრავი ძეგლის შემთხვევაში, საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ 1:1000 ან 1:2000, GPS კოორდინატები;
  - გ) საპროექტო ობიექტის საერთო ხედების ამსახველი უახლესი ფოტო-მასალა, დაზიანებული ელემენტებისა და ფრაგმენტების დეტალური ფოტოფიქსაცია;
  - დ) საპროექტო ობიექტის ანაზომი, დაზიანებათა განლაგების სქემა, მასშტაბით 1:50, 1:25 ცალკეული დეტალები – 1:1, შაბლონები;
  - ე) საპროექტო ობიექტის ბიოქიმიური ანალიზი (აღებული სინჯების განლაგების სქემა, ლაბორატორიული ანალიზის შედეგები);
  - ვ) საპროექტო ობიექტის სახელოვნებათმცოდნეო კვლევა;
  - ზ) შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა სამუშაოებისას გამოსაყენებელი და არსებული მასალის ურთიერთთავსებადობის შესახებ;
  - თ) სამუშაო გეგმა; მისი დასაბუთება, პროცესის თანმიმდევრობის ჩვენებით; სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკი.
  - ი) მოსალოდნელი შედეგების აღწერა;

**მუხლი 50. არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა**

არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) განმარტებით ბარათი. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს:
  - ა.ა) არქეოლოგიური ობიექტის ზუსტი დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - ა.ბ) მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი;
  - ა.გ) განმარტებითი ბარათით დასაბუთებული უნდა იყოს სამუშაოების წარმოების აუცილებლობა და მათი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან, სამუშაოების მოცულობისა და სახეობების მითითებით;
  - ა.დ) თუ პროექტი სამუშაოებისა და არქეოლოგიური ობიექტის მოცულობიდან გამომდინარე ითვალისწინებს მსოლოდ ობიექტის ფრაგმენტის შესწავლას ან რეაბილიტაციას, განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს ობიექტის შესწავლის, რეაბილიტაციისა და განვითარების ერთიან კონსერვაციასთან (კონსერვაციის გეგმის არსებობის შემთხვევაში – ასევე კონსერვაციის გეგმასთან) სამუშაოების შესაბამისობის შესახებ;
  - ა.ე) განმარტებით ბარათში ასევე უნდა მიეთითოს განსახორციელებელი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მასალის კონსერვაციისა და რეკულტივაციის, შესაბამის საცავებში მათი შემდგომი დაბინავებისა და შენახვის პირობების უზრუნველყოფის შესახებ;
  - ა.ვ) სამუშაოების განხორციელების მოსალოდნელ შედეგებზე.
- ბ) შესასწავლი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა მასშტაბით 1:1500 და 1:500,

GPS კოორდინატებით;

- გ) შესასწავლი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაციის, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერის მასალები, შესაბამისი ანალიზები. წინასწარული დაზვერვითი სამუშაოების წარმოების შემთხვევაში, დაზვერვითი სამუშაოების შედეგები;
- დ) შესასწავლი ტერიტორიის (ობიექტის) ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალები შესაბამისი წყაროების მითითებით, კერძოდ, სამუხეუმო და საარქივო მასალების (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ისტორიული რუკები და გენგეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული საპროექტო ტერიტორიის ფოტომასალა, კოსმოსური და აერო ფოტომასალები) მოძიება, შესასწავლ ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან ურთიერთმიმართების ანალიზი;
- ე) განსახორციელებელი სამუშაოების წარმოების ორგანიზების აღწერა და მათი წარმოების კალენდარულ გრაფიკი, სექტორებისა და შესაბამისი სამუშაოების თანმიმდევრობის ჩვენებით, ხანგრძლივი (მრავალწლიანი) ექსპედიციის შემთხვევაში სამუშაოების შუალედური და საერთო ხანგრძლივობის მითითებით.

**მუხლი 51. გადაუდებელი აუცილებლობისას ძველზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სახეები და სამუშაოთა წარმოების საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნებრივი და გარემო ფაქტორების ან დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად, ძველს ან არქეოლოგიურ ობიექტს ემუქრება შეუქცევადი დაზიანების ან განადგურების საფრთხე და ამის გამო არსებობს მისი არქეოლოგიური ან კვლევითი სამუშაოების წარმოების ან პრევენციული კონსერვაციის გადაუდებელი აუცილებლობა და სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა ვერ ესწრება, ნებართვის გაცემა შესაძლებელია არასრული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.
2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია მსოლოდ არქეოლოგიური, კვლევითი ან პრევენციული კონსერვაციის სამუშაოთა წარმოება. ამ შემთხვევაში, სამუშაოთა საპროექტო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:
  - ა) განმარტებით ბარათი. განმარტებით ბარათში უნდა მიეთითოს ძველის ან არქეოლოგიური ობიექტის (მოდრავი ძველის შემთხვევაში, მისი ძირითადი შენახვის ადგილის) ზუსტი დასახელება, არქეოლოგიური ობიექტის ზუსტი დასახელების არარსებობის შემთხვევაში, კი მისი ადგილმდებარეობის დასახელება და ზუსტი მისამართი. განმარტებითი ბარათით განმარტებული და დასაბუთებული უნდა იყოს:
    - ა.ა) სამუშაოთა წარმოების გადაუდებელი აუცილებლობა და არსებულ პირობებში სრული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის შეუძლებლობა;
    - ა.ბ) შესასრულდებელი სამუშაოს ტიპი, სახეობა და მოცულობა, გამოსაყენებელი ტექნოლოგიები და მეთოდოლოგია და მათი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან;
    - ა.გ) პრევენციული კონსერვაციის შემთხვევაში, ასევე პრევენციული კონსერვაციის ეფექტურობის სავარაუდო ხანგრძლივობის, შემდგომ ღონისძიებათა სახეობებისა და მათი სავარაუდო განხორციელების ვადების შესახებ.
    - ბ) ობიექტისა და მისი დაზიანებების დეტალურ ფოტო მასალა;
    - გ) უძრავი ობიექტის შემთხვევაში, შესასწავლი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციურ გეგმა შესაბამისი მასშტაბით, ზუსტი კოორდინატებით;
    - დ) არქეოლოგიური სამუშაოების შემთხვევაში, ასევე უნდა მიეთითოს განსახორციელებელი სამუშაოების შედეგად გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტებისა მასალის კონსერვაციისა და რეკულტივაციის, შესაბამის საცავებში მათი შემდგომი დაბინავებისა და შენახვის პირობების უზრუნველყოფის შესახებ;

- ე) სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გრაფიკი (არქეოლოგიური ობიექტის შემთხვევაში, სექტორებისა და შესაბამისი სამუშაოების თანმიმდევრობის ჩვენებით);
- ვ) დასკვნა სამუშაოების განხორციელების მოსალოდნელ შედეგებზე.

**მუხლი 52. ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების შესრულებაზე ანგარიშის წარდგენა, სახელმწიფო კონტროლი სანებართვო პირობების შესრულებაზე**

1. ამ კანონით განსაზღვრული ნებართვის მფლობელმა, სამუშაოთა მიმდინარეობისას, პერიოდულად უნდა წარმოადგინოს სამუშაოთა შუალედური ანგარიში, ხოლო სამუშაოთა დასრულების შემდეგ, განხორციელებული სამუშაოების საბოლოო ანგარიში, ხოლო მათი აღვივლება შემოწმების მიზნით დაუშვას ნებართვის გამცემი ორგანოს წარმომადგენლები.
2. ნებართვის მფლობელის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა, ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღებისას, განისაზღვრება სამინისტროს მიერ და აისახება სანებართვო მოწმობაში.
3. სამუშაოთა ანგარიში უნდა მოიცავდეს საკითხებს სამუშაოთა მიმდინარეობის, მათი შესრულების ხარისხის, შექმნილი ან გამოვლენილი, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ვითარებებისა და გარემო ფაქტორების, სამუშაოთა წარმოებისას გამოვლენილი ან აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობის ან მასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და ობიექტების შესახებ.
4. თუ უძრავი ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებდა მასზე საინჟინრო კომუნიკაციების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ან/და ხაზების შეცვლას ან დამონტაჟებას, სამუშაოთა წარმოების საბოლოო ანგარიშს უნდა დაერთოს:
  - ა) საზოგადოებრივ და საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ლიფტებისა და ექსკალატორების, ხოლო სამრეწველო ობიექტების შემთხვევაში – დამონტაჟებული ტექნოლოგიური მოწყობილობების ან/და ხაზების გამოცდის აქტები, დამოწმებული შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.
  - ბ) შესაბამისი კომპანიის მიერ გაცემული გარე კომუნიკაციებზე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიერთების დადასტურება.
5. სამუშაოთა შესაბამისი ეტაპის დასრულებისას, შუალედური ანგარიშის საფუძველზე, სამინისტროს წარმომადგენლების მიერ დგება სამუშაოთა შესაბამისი ეტაპის მიღების ოქმი, რომლის ერთი ასლიც, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარდება ნებართვის მფლობელს. ოქმში აისახება წარმოებულ სამუშაოთა საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შესახებ.
6. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრულ მაკონტროლებელ ან ზედამხედველ ორგანოს შესაძლებლად უმოკლეს ვადაში წარუდგინოს სანებართვო მოწმობა ან/და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია და მისცეს შესაბამისი ობიექტის დათვალიერების შესაძლებლობა.

**მუხლი 53. სანებართვო პირობების შესრულება, უძრავი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება**

1. ამ კანონით ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო პირობები შესრულებულად ჩაითვლება მხოლოდ ნებართვის მფლობელის მიერ შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოებისა და პირობების სრულად შესრულებისა და ამ კანონის 52-ე მუხლით განსაზღვრული ანგარიშების სრულად წარმოდგენის შემდგომ.
2. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონით განსაზღვრული ნებართვის საფუძველზე წარმოებული სამუშაოების შედეგად, უძრავ ობიექტზე ჩნდება ახალი ფართი, რომელზე უფლებაც კანონმდებლობით დადგენილი წესით საჭიროებს სახელმწიფო რეგისტრაციას, ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების სრულად შესრულებისა და სამუშაოთა საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ, მინისტრი დებულობს გადაწყვეტილებას ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ, რაც წარმოადგენს უძრავ ნივთზე უფლების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველს.
3. გადაწყვეტილება უძრავი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ მიღებულ უნდა იქნას წარმოებულ სამუშაოთა საბოლოო ანგარიშისა და სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 30 დღის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ იქნა გადაწყვეტილება მიღებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ, ობიექტი ჩაითვლება ექსპლუატაციაში მიღებულად, რაზედაც გამოიცემა შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი.
4. ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს:
  - ა) ამ კანონის 52-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენლობა;
  - ბ) ნებართვის გამცემი ორგანოს წარმომადგენლებისათვის ობიექტის დათვალიერებისათვის ხელის შეშლა;
  - გ) სანებართვო პირობების შეუსრულებლობა, მათ შორის წარმოებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობა.
5. ნებართვის მფლობელი პასუხისმგებელია სანებართვო პირობების შესრულებაზე, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა.
6. „არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების წესებისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ და „ძეგლზე სამუშაოების წარმოების წესებისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული სანებართვო პირობების დარღვევაზე პასუხისმგებელია შესაბამისი ბრალეული პირი.

**მუხლი 54. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების სანებართვო პირობების ცვლილება**

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონით განსაზღვრული ნებართვის საფუძველზე ძეგლზე ან არქეოლოგიურ ობიექტზე წარმოებული სამუშაოებისას წარმოიშევა შესაბამისი სანებართვო პირობების (საპროექტო დოკუმენტაცია, სამუშაოთა წარმოებისა და ანგარიშების წარმოდგენის ვადები, სამუშაოთა მოცულობა ან/და სხვა, რაც არ ქმნის ახალი ნებართვის გაცემის საფუძველს) ცვლილების აუცილებლობა, ნებართვის მფლობელი ვალდებულია სანებართვო პირობების ცვლილების მოთხოვნით, განცხადებით მიმართოს სამინისტროს.

2. განცხადებას საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილების შესახებ უნდა დაერთოს ცვლილების ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია.

3. სანებართვო პირობების ცვლილების საფუძველს წარმოადგენს მინისტრის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. თუ სანებართვო პირობების ცვლილება ითვალისწინებს სანებართვო მოწმობაში შეტანილი მონაცემების ცვლილებას, გაიცემა ახალი სანებართვო მოწმობა, ხოლო ძველი ცხადდება ძალადაკარგულად. ამ შემთხვევაში, ახალ სანებართვო მოწმობაზე მოსაკრებელი არ გადაიხდევნება.

**მუხლი 55. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვების შეჩერება და გაუქმება, პასუხისმგებლობა სანებართვო პირობების დარღვევაზე**

1. ძეგლზე სამუშაოების წარმოება კანონმდებლობით დადგენილი, სათანადო სავალდებულო პროფესიული კვალიფიკაციის არმქონე პირების მიერ, წარმოადგენს ბრალეული პირის დაჯარიმების, ასევე ამ კანონით განსაზღვრული ნებართვის გაუქმების საფუძველს.

2. ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვების გაუქმების სხვა საფუძველები და წესი განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. პასუხისმგებლობა ძეგლზე სამუშაოების ან არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის მფლობელის მიერ ამ კანონით განსაზღვრული სანებართვო პირობების დარღვევაზე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 56. არქეოლოგიური სამუშაოებისა და ძეგლზე სამუშაოების წარმოება მესაკუთრის თანხმობის გარეშე**

1. სამინისტრო, ასევე სხვა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია აწარმოოს სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოები ძეგლზე ან არქეოლოგიურ ობიექტზე ან დაუკვეთოს ეს სამუშაოები სხვა პირს მესაკუთრის თანხმობის გარეშე, თუ:

ა) არსებობს ამ კანონის 34-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები;

ბ) არქეოლოგიური ობიექტი ან მიწის ნაკვეთი, რომელზედაც განთავსებულია ის, არ წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას ან გადაცემულია სხვა პირზე ფლობისა და სარგებლობის უფლებით, ამასთან მესაკუთრე (მფლობელი) არაა თანახმა არქეოლოგიურ ობიექტზე სარეაბილიტაციო, კვლევითი ან არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელებაზე და არსებობს ამ კანონის 13-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საფუძველები.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ორგანო ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მესაკუთრეს 1-ელი მუხლის „ბ“ პუნქტით განსაზღვრული სამუშაოების შედეგად მიყენებული ზიანი.

3. ამ მუხლის 1-ლი განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სამუშაოების მესაკუთრის თანხმობის გარეშე წარმოებაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, რის საფუძველზეც სამინისტრო გასცემს შესაბამის ნებართვას. სასამართლო განცხადებას განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადებში და წესით. სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდება დაუყოვნებლივ აღსასრულდელი გადაწყვეტილების აღსრულების წესით. სასამართლოს მიერ 1-ელი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალწარმოებისას გაწეული ხარჯები ანაზღაურდება სამუშაოთა წარმოების უფლების მოპოვებით დაინტერესებული პირის მიერ.

4. სამუშაოების წარმოების უფლების მინიჭების შესახებ განცხადება წარედგინება სასამართლოს. განცხადება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებებისა, ასევე უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას განსახორციელებელი სამუშაოების სახეობებისა და მათი წარმოების ვადების შესახებ;

ბ) დასაბუთებას სამუშაოთა წარმოების აუცილებლობისა და შესაბამისი გარემოებების არსებობის შესახებ;

გ) ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მესაკუთრეზე (მფლობელზე) ზიანის მიყენების აღბათობისას, მითითებას საკომპენსაციო თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ.

დ) ამ კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მითითებას ძეგლის მესაკუთრის(მფლობელის მიერ) სამუშაოს შემსრულებელისათვის ძეგლის გადაუღებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაწეული თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ.

5. განცხადებას, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტებისა, ასევე უნდა დაერთოს ამ კანონით განსაზღვრული შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია. თუ რეაბილიტაციის ან არქეოლოგიური სამუშაოების პროექტის შესადგენად აუცილებელია წინასწარი კვლევითი სამუშაოების

წარმოება, განცხადებას უნდა დაერთოს კვლევითი სამუშაოების პროექტი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სასამართლოს შუალედური გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო დაინტერესებულ მხარეს განუსაზღვრავს კვლევითი სამუშაოების წარმოებისა და სარეაბილიტაციო (არქეოლოგიური) სამუშაოების პროექტის მომზადების ვადას, რომლის განმავლობაშიც სასამართლო წარმოება შეჩერდება. ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ამ ვადის გაგრძელების შესახებ. სარეაბილიტაციო (არქეოლოგიური) სამუშაოების პროექტის სასამართლოში წარგდენისას, ასევე წარსადგენად განსაზღვრული ვადის გას

ვლისას, სასამართლო წარმოება განახლდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამუშაოების პროექტი, მის სასამართლოში წარგდენამდე უნდა შეუთანხმდეს სამინისტროს.

6. სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოების წარმოების შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) მითითებას განსახორციელებელი სამუშაოების სახეობის, შესაბამისი პროექტის და მისი განხორციელების ვადების შესახებ;

ბ) ამ მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მესაკუთრისთვის (მფლობელზე) ზიანის მიყენების ალბათობისას, მითითებას საკომპენსაციო თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ.

გ) ამ კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მითითებას ძველის მესაკუთრის(მფლობელის მიერ) სამუშაოს შემსრულებელისათვის ძველის გადაუდებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაწეული თანხის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც არქეოლოგიური ობიექტის ან ძველის ინტერესი გადაუდებელ, სასწრაფო ჩარევას მოითხოვს (გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოსალოდნელია ობიექტის შეუქცევადი დაზიანება ან განადგურება), სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს შუალედური გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სამინისტრო დაუყოვნებლივ გასცემს სამუშაოების ნებართვას. ამ შემთხვევაში, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს სამუშაოების შედეგად მიყენებული ზიანის, კომპენსაციის ოდენობისა და გადახდის ვადის შესახებ.

**თავი X**  
**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსება**

**მუხლი 57. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დაფინანსება**

1. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ფინანსდება:
  - ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან;
  - ბ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან;
  - გ) მესაკუთრის (მფლობელის) სახსრებით;
  - დ) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტებით;
  - ე) შემოწირულობებით;
  - ვ) ყველა იმ სახსრებით, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 58. სახელმწიფო შეღავათები**

1. სახელმწიფო ადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საგადასახადო, კომუნალურ და სხვა შეღავათებს.
2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საგადასახადო, კომუნალური და სხვა შეღავათები განისაზღვრება შესაბამის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით.

**თავი XI**  
**პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის**

**მუხლი 59. პასუხისმგებლობა კანონის დარღვევისათვის**

პასუხისმგებლობა ამ კანონის, ასევე არქეოლოგიური და ძველზე სამუშაოების წარმოების წესების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**კარი III**  
**გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი**  
**თავი XII**  
**გარდამავალი დებულებანი**

**მუხლი 60. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები**

1. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნას შემდეგი ნორმატიული აქტები:
  - ა) „არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების წესებისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;

ბ) „ძველის სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებისა და მათი შევსების წესების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;

გ) „ძველზე სამუშაოების წარმოების წესებისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება;

დ) „უძრავი ძველის საანოტაციო დაფის ფორმისა და გამოყენების წესის შესახებ“ მინისტრის ბრძანება;

ე) „ მომეტებული საჯარო ინტერესების მქონე ძველების კლასიფიკაციისა და მათზე მესაკუთრის მიერ საზოგადოების დაშვების წესის დამტკიცების შესახებ.“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;

ვ) „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება;

ზ) მინისტრის ბრძანება „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“;

თ) საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის რეგულირების შესახებ“.

2. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ 2009 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს ამ კანონის ამოქმედებამდე ძეგლთა სახელმწიფო სააღრიცხვო რეესტრში შეტანილი ძეგლებისა და ძველის ნიშნის მქონე ობიექტთა სიაში შეტანილი ობიექტების ამ კანონის შესაბამისად ხელახალი რეგისტრაცია.

### თავი XIII დასკვნითი დებულება

#### **მუხლი 61. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული ნორმატიული აქტები**

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის №2209 – IIს (*საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წელი - №33(40)*) კანონი.

#### **მუხლი 62. კანონის ამოქმედება**

ა) ამ კანონის ამოქმედებამდე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების უძრავ ძეგლთა სახელმწიფო რეესტრში შეტანისა და ძველის ნიშნის მქონე ობიექტთა სიის დამტკიცების შესახებ, ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისად გამოცემულად.

ბ) ეს კანონი გარდა 47-ე მუხლის მე-9 პუნქტის და 55-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 15-ე დღეს.

გ) 47-ე მუხლის მე-9 პუნქტი და 55-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტის მიღებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი